ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2351716

ნომერი: AR1363819

თარიღი : 16.12.2015

გაცემის თარიღი : 19.12.2015

გაცნობის თარიღი : 22.12.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 142 ; ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 142 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილი თეთრუაშვილი პ/ნ 01017025686
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 44

ორგანიზაცია:

- შპს იმპერვეტი კოდი: 202384115

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაცგაცნობებთ, რომ სამსახურ წარმოდგენილი კორექტირებული სახით ფასადის რეკონსტრუქცია არ მიაჩნია შესაძლებლად. საჭიროა მოწესრიგდეს N 01.13.04.017.037.01.533 საკადასტრო საზღვრის ფართის ორივე ფასადი მთლიანად. აღნიშნულის გათვალისწინებით იმისათვის რომსამსახურმა ხელახლა იმსჯელოს თქვენს საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული ფოტომონტაჟი მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით შესრულებული კარგი ხარისხით შესრულებული რეალურ მდგომარეობასთან მისადაგებული სახით

ასევე საჭიროა მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში დეტალურად ასახოთ ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რაში მდგომარეობს კორექტირება.

გარდა ამისა, „არსებული სიტუაციის ფოტოსურათები“–ს ველში დამატებით აიტვირთოს ორივე სარეკონსტრუქციო ფასადის ამსახველი ფოტოსურათები, ხოლო „კორექტირებული ფოტომონტაჟი“–ს ველში ზემოაღნიშნული ფოტოსურათების საფუძველზე დამუშავებული განახლებული ფოტომონტაჟები.

ასევე მეტი თვალსაჩინოებისათვის "ფაილის მიმაგრება" ველში აიტვირთოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა (საპროექტო არეალის დატანით) და სქემატური (არსებული და საპროექტო) ნახაზები (გეგმა, ფასადები და ჭრილები) გაბარიტული ზომების მითითებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური შეძლებს, რომ განმეორებით განიხილოს აღნიშნული საკითხი.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზებისგამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.